

სპორტული

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

24 აპრილი, ოთხშაბათი, 1991 წ. № 74 (10 487) • ღირსი 10 კაპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



სულ რაღაც სამი წელია, საქართველოში დაინერგა და ვითარდება სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ვაკუუმი სახეობა — მკლავჭიმვა. შექმნილია საქართველოს მკლავჭიმვის ფედერაცია, საქართველოს გუნდმა ისპარეზა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში, სადაც არაერთი მეტოქე დაჯანა. ყველაზე დიდი გამარჯვება 1990 წლის ოქტომბერში იზემეს ქართ-

თბილისში გაიხარტა საერთაშორისო ტურნირი

ველმა მკლავჭიმვაში — აშშ-ში, კალიფორნიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს, აქვე ერთმა სპორტსმენმა მძიმე წონაში „ბრინჯაოც“ მოიპოვა.

პირველად ჩვენს რესპუბლიკაში 27-28 აპრილს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი — საქართველოს ღია ჩემპიონატი. მასში მონაწილეობას მიიღებენ უცხოეთის გუნდებიც. 28 აპრილს, გაირკვევა, ვისა აქვს საქართველოში ყველაზე ღონიერი მარჯვენა. ცაიებისათვის შეჯიბრება ცალკე მოეწყობა. ასპარეზობა გაიმართება 59, 68, 80, 90 კგ წონით

კატეგორიებში. ტურნირის ბოლოს გამოვლენილია საქართველოს სასოლუტური ჩემპიონი მკლავჭიმვაში. შეჯიბრება ჩატარდება შოუ-კონცერტის თანხლებით. ტურნირის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც 26 მაისს ისპარეზებს ევროპის ჩემპიონატში.

მონაწილეობის მიღების მსურველებმა მიმართეთ საქართველოს სპორტის დეპარტამენტს, მკლავჭიმვის ფედერაციას.

ორთაბრძოლები დაიწყება 12 საათზე.

საპარტოვლოს მკლავჭიმვის ფედერაცია.

საპარტოვლოს ჩემპიონატი რაგბიში

ეროვნული ლიგა. II ტური.

თბილისი. სსი-ის სტადიონი. 19 აპრილი.

„შავარდენი“ (თბილისი) — „სოკრები“ (თბილისი) 20:15 (10:6).

„შავარდენი“: ნ. იურიანი, დვალა, კერეხელიძე (კვაკვატიაძე), გოგია, ბ. იურიანი, მოდებაძე, ჯანელიძე, ჩიქავა, კუხრაშვილი, თავზარაშვილი (ახვლედიანი), სორდია, ნადირაძე, პარწიკანაშვილი (მჭედლიშვილი), ტყეშელაშვილი, კაპანაძე.

„სოკრები“: თათარაშვილი, ჯაფარიძე, გეგევაძე, ლიპარტელიანი, ქვიციანი, გიორგიანი, თევზაშვილი, შამთაგა (ნეფარიძე), გიგაშვილი, კობახიძე, გოგეშვილი (გეგეძე), კომლაძე, ლევაძე, დიდუბურიძე.

მსაჯი: მალხაზ კოროშინაძე (თბილისი).

ამ გუნდების შეხვედრა ყოველთვის დამაბუჯად და სანტერესოდ მიმდინარეობს და არც ეს გამოსაღონებელი მატჩის წინ გამარჯვებას „შავარდენს“ უწინასწარმეტყველებდნენ, რადგან სხვადასხვა გუნდებიდან მოთამაშეთა საკმაოდ რაოდენობის დაბრუნებამ და გადმოყვანამ კოლექტივი აშკარად გააძლიერა.

დასაწყისშივე „სოკრებმა“ მეტოქის ლელოსთან საჯარო ვაითამაშეს და კომლაძემ დაამიწა ბურთი, ხოლო კობახიძემ გარდასახვა შეაგდო. შუა ტაიმში ჯანელიძემ მსგავსი სიტუაციაში მიიღწია მიზანს. მანამდე კი მისმა თანაგუნდელმა

თბილისი. სსი-ის სტადიონი. 20 აპრილი.

„აპაქაშვილი“ (თბილისი) — „სოკრები“ (თბილისი) 6:7 (3:4).

„აპაქაშვილი“: ლუღუშაური, ქავთარაშვილი (ორგონიძე), მანთიძე, ჩხენკელი, კალანდარიძე, დ. ძაგანელი, ცაგარეიშვილი, მოდებაძე, ნ. წიკლაური, დვინიაშვილი, რ. წიკლაური (ნარინაძე), შოთაძე, ლლონტი (კინკარაძე), ასათიანი, ობოლიძე.

„სოკრები“: მურვანიძე, ფაცია, კეკელიძე, ბახტაძე, წიყე-

ლია, თ. ცინცაძე, ვაბაშვილი, ჯუღელი, კიპაშვილი, ლომიძე (გიგინეიშვილი), ჯობია, ჩანჭხელიანი, ცხვირაშვილი, (დაუშვილი), ლაბაძე, კურულაშვილი (ქილაძე).


მსაჯი: მალხაზ კოროშინაძე (თბილისი).

ერთმანეთის ფიზიკური შეურაცხუფისთვის მოედინდნენ ვაძივეს ნ. წიკლაური („აკადემია“) და ლაბაძე (სოკრები-„რაში“).

პირველ ტურში ორივე გუნდი დამარცხდა. ასე რომ, არც ერთს აღარ სურდა იგივე ბედი სწევოდა. ამიტომაც თამაში თავისუფლად, ახარტულად წარიმართა. მსატყართა ცალკეული მოთამაშეების ინდივიდუალურ ოსტატობაზე აგებულ თამაშს „რაში“ კოლექტიური და ორგანიზებული მოქმედება დაუპირისპირა და გაუმართლა კიდევ.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს აკადემიულმა ნ. წიკლაურმა გახსნა საჯარო დარტყმით, რასაც უმაღლეს მოპყვა ცხვირაშვილის მოგებული აუტი და იქიდანვე გატანილი ლელო.

შესვენების შემდეგ ბახტაძემ და ძაგანელმა საკმაოდ რთული საჯაროობები „გაცვალეს“. აქედან მოყოლებული „რაში“ ფენით თამაშის ტაქტიკა ირჩია — მისი მოთამაშე-მწვერთელი თ. ცინცაძე და ვეტერანი ბახტაძე მეტოქის მცველის შეცდომის იმედით ბურთს უკანა ხაზისკენ ან აუტში გზავნიდნენ; „აკადემია“ კი ჯიქურ მიიწევდა მიზნისკენ, არც ავანტურისტულ შეტევებს ეროდებოდა, მაგრამ, მისი თამაში ქაოსურ ხასიათს ატარებდა. საბოლოოდ, წარმატებას ვერაზინ მიიღწია და „რაშიმაც“ შეინარჩუნა მინიმალური უპირატესობა.



გია ახალაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება

რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი

მიხეილ (მიხა) შალვაძე ძე მისხი

და სამომავარ უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

შეიქმნა მიხეილ მისხის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბ. გიგინეიშვილი (თავმჯდომარე), კ. ასათიანი (თავმჯდომარის მოადგილე), ნ. ახალაძე, გ. ბერიძე, ვ. ბარქაია, გ. ჩეჩელაშვილი, ნ. გაფრინდაშვილი, ჯ. ზამბახიძე, ქ. სვანიძე, გ. ფანჯიკიძე, კ. მანარაძე, დ. ქლიბაძე.

დამკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

მიხეილ მისხი დაიკრძალა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქინფორში.

მ. მისხის დამკრძალავი კომისიის განცხადება

პანაშვილი შედგება 25 და 26 აპრილს 19 საათზე, განსვენებულის ბინაზე, სოფ. დილოში.

გამოსვენება 27 აპრილს, 15 საათზე, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონიდან. სამოქალაქო პანაშვილი 13 საათიდან.

კლავ მოგზაინდა ჭადრაკი

80 წლის წინანდელი ტრადიცია აღდგა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამიერიდან აქ ყოველწლიურად კლავ ჩატარდება პროფესორ-მასწავლებელთა შეჯიბრება ჭადრაკში. განახლებული ასპარეზობის ჩემპიონი გახდა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვასილ კობალიაშვილი.

ბატონი ვასილი ათეული წლების წინათაც გამოდიოდა ამ უმაღლესი სასწავლებლის პირველობებში ჯერ როგორც სტუდენტი, შემდეგ კი, როგორც თანამშრომელი.

ტექნიკური უნივერსიტეტის საკლავო ჩემპიონატი ფიზიკური კულტურისა და სპორტის უთედრამ და პროფესორის გაერთიანებულმა კომიტეტმა განაახლა.



მომავალი ჩემპიონატის ეგზალმა

მსოფლიოს ყოველ საფეხბურთო ჩემპიონატს თავისი ემბლემა აქვს. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ლოს-ანჯელესში სულ ახლახან აირჩია მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემა, რომელსაც სურათზე ხედავთ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების ციკლის დაწყებას აპირებს 1992 წლიდან.

ეს-ესაა შავიკუთხედი...

„პლენი-ოფის“ ფავორიტები ერთ მფარვეში

ასლანს გაზეთმა „ბოსტონ ჰერალდმა“ დაბეჭდა ცნობა ნბა-ს მსაჯთა მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ. უფროსობის კატეგორიული განცხადებით, ხელფასით უკმაყოფილო არბიტრები მოკლე ხანში შეიკრიბებიან ჩიკაგოში და ერთობლივად განიხილავნ საგაფიცვო წინადადებებს. თანაც საამისოდ უჩვეულოდ ხელსაყრელი პერიოდი შეარჩიეს: „პლენი-ოფის“ სერთების მატჩების დასაწყისი.

ამ ცნობამ დიდი გაოცება გამოიწვია არა მხოლოდ ნბა-ს ხელმძღვანელობაში, არამედ... მსაჯთა შორისაც. საქმე ის გახლავთ, რომ ლიგის ყველა არბიტრს ხელი აქვს მოწერილი ხელშეკრულებაზე, რომლის ვადა 1992 წელს მოთავსდება. არც ერთ არბიტრს, არც მანამდე და არც მერე, არ გამოუთქვამს უკ-

მაყოფილება კონტრაქტის პირობებზე. ამასთან დაკავშირებით, ნბა-ს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა არბიტრმა ჯერ კერსიმ განაცხადა: „როგორ შეიძლება უკმაყოფილონი ვიყოთ, როცა მსოფლიოში ალბათ, ყველაზე სანტერესო სამუშაო გვაქვს“.

ერთი სიტყვით, სანამ მძვინვარებს ენებანი „ბოსტონ ჰერალდის“ პუბლიკაციის გარშემო, კალათბურთელებმა დაამთავრეს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი. გამოვლინდა თექვსმეტი „გრანდი“, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას უმაღლესი ტიტულისათვის „პლენი-ოფის“ სისტემით. სხვადასხვა დივიზიონში მოთამაშე 16 უძლიერესი კლუბი

„გაქცევი პონდოგებით უნდა ვაქაბოთ გზები მსოფლიო სარბიელზე და მოუკიდებლად გასასვლელად“

თავის დროზე მის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. ჰქონდათ მიზეზები — თავისუფალ კიბაში საერთაშორისო კლასის ხაზების ოსტატი გივი ყვარელაშვილი მნიშვნელოვანი შეჯიბრებებიდან უმთავრესად მედლებით მკერდდაწმენეული ბრუნდებოდა. ყოველივე თავდადებული გარჯით აღწევდა.

...დარბაზში თავი შერგო თუ არა, გაოგებული დარჩა. მერე იქაურობას ნელ-ნელა შეეჩვიო, კუთხეში თავისთვის მიჯა და ცნობისმოყვარეობით უქცერდა. ბიჭები ლეონზე როგორ „აბერტყებდნენ“ ერთმანეთს. სპორტულფორმებში ჩაუკვნილი მამაკაცი მიუახლოვდა. ფეხზე წამოუდგა.

— აქ რას უზიხარ, ფორმა რაღამ არ გაკვივა? — უთხრა მკაცრად უცნობმა.

— გიორგი მასწ, ჩემი ახანაგია, გიორგის შემდეგ კინოში მივდივართ და მელოდება. — გამოეყო მანა თანაქსელი ომარ ამოხაზვილი.

— რა გქვია, ბიჭო! — ახლა ლობიბერად შეეკითხა გიორგი მასწავლებელი.

— გივი. — უბასუნა მორცხვად და თავი ჩაღუნა.

— მერე და, ჩემო გივი, არ გინდა ბეჭეტი დაეჭირო? — მართალია, ტანმორჩილი ვიყავი, მაგრამ ფიზიკურად სუსტი არ მეტყობოდა, რადგან ორი წელი სკოლის ტანვარჯიშის სექციაში ვმეცადინებოდი.

ბიჭებმა სპორტული ფორმა მათხოვეს. გიორგი მასწავლებელმა მეტოქე შემირჩია. დავეჭიდე და... იროლდ. წავაქციე. მერე მეორე „ფლაგმანი“ ბეჭებზე დავაწვიწყინაო, შენგან კარგი მოქიდავე დადგება! — შემაქო გიორგი მასწავლებელმა. მეტი რა მინდოდა. იმ დღიდან დარბაზს არ მოვშორებოვარ. სამი თვეც არ იყო გასული, მოსწავლეთა საქალაქო პირველობაზე ყველას ვაჯობებ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ვერავის ვუძმელოდი, რადგან მშობლებს სურდათ მუსიკოსი გამოვსულიყავი და, რომ გავეთო, კიბობაზე დავდიოდი, მომკლავდნენ.

ერთ საღამოს მამაჩემი განუთქმებ კითხულობდა. ერთ-ერთში ჩვენი შეჯიბრების ანგარიშს წააწყდა. ნახეთ, ვიღაც ყვარელაშვილი ქალაქის ჩემპიონი გამხდარაო — ხმაბლთა გამოგვიცხადა, ნეტავ ვისი შვილიაო, დასძინა თავისთვის და კითხვა განაგრძო. ტანში გამცრა, სახეზე აღმურმა გადავიარა, ხმა არ ამოიბოლია. გაკვეთილებს ვამზადებდი და ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. საიდუმლოს მეორე დღეს ახხდა ფარდა. მუსიკის მასწავლებელს დედაჩემისთვის დაურეკავს, გივი რამდენი ხანია გაკვეთილებს აცდენს, რა მოუვიდაო...

გიორგი როსტიაშვილი — საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მწერტიელი.

მოგონება პირველი „ქალბატონი ანიკო დარბაზში ყურბაწითელბულ გივისთან ერთად შემოვიდა, ადელელებული ჩინდა. დავამშვიდე — თქვენში შვილის მუსიკალური მონაცემები არ ვიცი, მა-

გდება, არადა, წარმატების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონი ვხდებოდი. ჩემთვის დღესაც გაუგებარია, რა მოხდა მაშინ. ეს კია, რომ საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელებიდან თავი არავის შეუწყუბებია სიმართლის დასადგენად. მათ არც აღარდებდათ ჩემი მედალი, რადგან ხუთი ჩემპიონი უკვე ჰყავდათ და გუნდური პირველობა განაღდებული ჰქონდათ. ერთადერთი პიროვნება, ვინც გამოემქობა, რომან რურუა იყო. მან იმავე სარბიელზე რამდენიმე დღით ადრე მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა კლასიკოსთა შორის. მისი ცდა ამოვადგინა. ანგარიში უცვლელი დატოვეს, დამარცხები და საბოლოოდ მეორე ადგილი დავიკავე.

ეს წარუმატებლობა ხომ არ იყო მიზეზი, 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებსა და ევროპის ჩემპიონატზე რომ არ წაგვიყვანეს? — მაშინ ჩემს წონაში ბევრი ცნობილი სპორტმენი გამოდიოდა. ერთ-ერთი უძლიერე იყო მათ-



მარცხნიდან: დავით ყვარელაშვილი, გიორგი როსტიაშვილი და გივი ყვარელაშვილი. სურათი გადაღებულია 1971 წელს.

ლო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალჯერ ჩემპიონი მახაჩკალური ზაგალავ აბდულბეგოვი. მართალია, მასთან შეჯიბრება არასდროს წამდია, მაგრამ ნაკრებში პირველ ნომრად მაინც ის ითვლებოდა და მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვისაც სპეციალური პროგრამით ამზადდებდნენ. ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელად ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა მიხეილ დიკინმა გუნდში მე მიმიწვია. როცა საქმე უკვე მოგვარებული გვეგონა, „ცენტრმა“ ალტერნატიული კანდიდატურა შეარჩია და ევროპის ჩემპიონატზეც ის წაიყვანეს.

მოგონება მეორე „გივი ყვარელაშვილი ყველა შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებოდა, ყოველთვის ფორმაში იყო, ამიტომაც უჭირდათ მეტოქეებს მისი დამარცხება. პირველობების ბედი „სხვაგან“ წყდებოდა. ასე მოხდა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინაც, როცა კონკურენტად ორჯონიკიძელი რუსლან

პლიევი „გამოუხრჩიეს“. გივი მას ყოველთვის ამარცხებდა, კისლოვოლსკში შეხვედრებიც მოუგო, მაგრამ... მე და დიკინი ბევრს ვეცადეთ, სამართლიანობას მაინც ვერ მივაღწიეთ“.

სპორტული კარიერის „დაიხსი“ თქვენთვის უფრო ილბლიანი გამოდგა...

— ასე გამოდის. ჯერ მეტად პრესტიჟულ თბილისის საერთაშორისო ტურნირში გავიმარჯვე, შემდეგ კი ლას-პალმასში მსოფლიო თასს დავუფუღე, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ბულგარელი ზრისტოვი და ირანელი ნავაიც დავამარცხე.

ეს ის ნავაია, ირანის საერთაშორისო ტურნირზე „ოქრო“ რომ წაგართვათ?

— პო, ეგ რა. ირანში, ჩვენი არ იყოს, კიბობა ძალიან უყვართ. იმ საერთაშორისო ტურნირს რვა ათასამდე მაყურებელი და შაპირეზა ფეხბურთელები დაიკრეს. ფინალში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს, ბალკანეთისა და ირანის მრავალჯერ ჩემპიონ ნავაის ვხვდებოდი. ის იყო, ლეონზე გასასვლელად მოვემზადე, რომ ზურგს უკან ვილაიცი სუნთქვა ვიგრძენი. არ მოხებდო, ქართულად მითხრა უცნობმა, ამ კიბობას ბევრი ირანელი ქართველი ვესწრებოდა, მაგრამ ჩვენი გულსიტყვის ხმაბლთა გამოხატვამ შეიძლება საბედისწერო შედეგი გამოიღოს. ამიტომ, გავრთოდეთ, უხმოდ გქომაგობთ, აბა, თქვენ რეით, თუ არ გავაწვრილებთ! ბეჭე მკოცა და გაუჩინარდა. გამაყვარო, თავებრუ დამეხევა. გონს მაშინ მოვეგე, როცა მსაჯმა — ინფორმატორმა ჩემი გვერო მეორედ გამოაცხადა და ბიჭებმა მიბიძგეს. რა უცდომო, უცდომო

ინ, ამიტომ მათ მომავალზე საუბარი ნაადრევია. ისე კი, მოხარული ვიქნები, თუ ირანის კისლანს ცხელგინს თანამდებარად ვაინდამ ჩემზე რაც კარგია, ყველაფერს კიბობას ვუძღვებო. მე კიბობაზეც ცალ მაქცია, ბევრი მეგობარი შემიძინა.

ამიტომაც აზიარეთ თქვენი ძმა, მისი შედეგები და დისშვილი კიბობას?

— ძალდატანებით არაფერი მოხდება, თავად ჰქონდათ სურვილი, მე მხოლოდ გზა გავუკვავლე დარბაზამდე. ისე კი, გული მწყდება, ჩემმა უმცროსმა ძმამ დათომ ნაადრევად რომ დაინება თავი კიბობას. მან დროის მცირე მოხავეთში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვა და კავშირის მასშტაბითაც თანატოლებს სამჯერ აჯობა.

მოგონება მესამე „დათო განსხვავებული ხასიათის მოქიდავე იყო, მუდმივად თვალყურს ღედენება სჭირდებოდა. ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში თან ვახლდი, კარად ჰქონდა დაცილი. მასსოგეს, კახულებს საკავშირო პირველობა სექტივ-კარში დაინიშნა. დათო მისსკში იყო შეკრებაზე და საასპარეზოდ ოთხი კილოგრამით დამძიმებული ჩამოვიდა. სასწრაფოდ წონის დაკლება უნარობა იქნებოდა, ამიტომ გადაწყვიტეთ, რომ ოცდამეცხრამეტის ნაცვლად სამოცდაორ კილოგრამში გამოსულიყო, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იური სტაყურა გადარიდა, რას ავეთებ, ამ წონაში ხომ აბდულმუსლიმოვი კიბობსო. ყახახი სპორტმენი თანატოლებში ბეჭდაუდებელ ფალავანდ ითვლებოდა.

დადგა ფინალის დღე. შერკინების დაწყებდან წუთიც არ იყო გასული, დათომ მეტოქე „ხილზე“ შეკენა, ორი წუთის შემდეგ კი თვალმცერემლიანი აბდულმუსლიმოვი ბეჭებზე იწვა.

მომდევნო წელს მოზრდილთა-საკავშირო ჩემპიონატში მოსინჯა ძალები. პირად პირველობაში გამოიბოლიდა. ერთ-ერთ წრეში წილისყრამ საქართველოს წარმომადგენელს შეახვედრა. საპოზო ადგილზე გასასვლელად ჩვენს გუნდს ქულები სჭირდებოდა, ამიტომ დათო არც დეჭებულა. ისე დათმო ორთაბრძოლა. ამან „ცენტრის“ გაგულსება გამოიწვია — „უღირსი საქციელი სივის“ დისკვალიფიკაციით დასაჯეს. იმ წელს იუფოსლაკიაში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე მის ნაცვლად ზახაროვი წაიყვანეს“.

ბატონო გივი, თქვენ თავისუფალი კიბობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ბრძანდებით. როგორ შეხვედით რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებას ქართული სპორტის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე?

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქართველ ხალხს მივულოცო დიდი გამარჯვება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა. რაც შეეხება სპორტის სუფერენიტებს, ესეც ისტორიული აუცილებლობით განპირობებული ნაბიჯია და მან ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკურმა სპორტულმა ფედერაციებმა ახლა მეტი მონდომებით უნდა ეძებდნენ გზები საერთაშორისო ფედერაციებში გასაწევრიანებლად და მსოფლიო სარბიელზე დამოუკიდებლად გასასვლელად. თავისუფალი კიბობის ფედერაცია ამ მიზნის მისაღწევად ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებს.

ესაუბრა ვაჟა დანელია.

რეპაიონი — სანაკალი ოსტატი

გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია „სწრაფ ჰარაკში“ (30-30 წუთი თითოეულს) საქართველოს პირველობაში, რომელსაც თბილისის ჰარაკის სასახლემ უმასპინძლა. აღნიშნულ შეჯიბრებაში, რომელიც შევიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა ერთი საერთაშორისო ოსტატი, ხუთი ოსტატი და 46 ოსტატობის კანდიდატი. დამატულ ბრძოლაში 8 ქულით

მოკლად 6 გუნდი, 48 მოჰარაკე და მოშავე, ვეჭკობთ, ცოტა არ უნდა იყოს რაიონის ერთი სპორტსაზოგადოების პირველობისთვის. სწორედ ასეთი შემადგენლობით ჩატარდა „შეგარდენის“ რაიონული საბჭოს გუნდური პირველობა ჰარაკში. საბოლოოდ სამშენებლო სამმართველო „იმერეთის“ გუნდმა სძლია „საქენერგოს“ წარმომადგენლებს და პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილზეა რაიონის სამედიცინო გაერთიანების ნაკრები. შაშში ადგილები ასე განაწილდა: 1. ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის კვანძი, 2. ადგილმწველობის სარაიონაშორისო გაერთიანება, 3. სოფელ ცხრაწყაროს კომპერენოვა.



საპარტოვლო ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. ვაკის სტადიონი. 20 აპრილი.

„მომინო“ (თბილისი) — „ბელატი“ (ჭავჭავაძე) 12:15 (8:0).

„მომინო“: ნოზაძე, გეგეჭკორი, კურატაშვილი, ჯ. ალანია, ზ. ალანია, ძნელაძე, ნატროშვილი, აბრამიშვილი, დოლიძე, პატარაია (ძიძაძე) ზოიძე, ფერაძე, დედუაჩიანი, მგელაძე, ხუბუანიშვილი.

„ბელატი“: შანიძე, ხილაძე, ჯანაშია, მარამიძე, თედოშვილი, მარტიანი, მალაქაძე, ბეშქენაძე, ვახაშვილი, ხვანიძე (გიორგაძე), ფილიანი, ქავთარაძე (რუსაძე), ლომიძე, ნემსიფერაძე, ჭიშკელიშვილი.

შედეგი: გოლი აბრამიძემ (თბილისი).

შეძილება ითქვას, რომ „ბელატი“ და საპარტოვლო ეროვნული

ლი, ნაკრების გარე ნახევარცენტრში კახა მაჩიტაძემ გუნდს თავისი მოაზრებითა და მორტიტობით შეაწყვიტა, როცა „მომინო“ ცენტრის განივი საჯარო მოსა და არევის წყალობით 6:0-ს იგებდა, მაჩიტაძემ ერთი წუთის განმავლობაში ორჯერ გაიტანა საჯარო 55 მეტრიდან (!) ხოლო ცოტა ხანში არევის შედეგად...

მაშინ კი გამოცოცხლდა თავიდან ერთი დღე თავისი, რომელიც სტუმრები ძირითადად მორტიტობის, მასპინძლები კი უკანა ხაზის მოთამაშეების მოქმედებაზე ამხივდნენ ყურადღებას, მაგრამ სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდნენ. შარშანდელ სეზონში სიუსტიტო განთქმულ მიმინოელთა დამრტყმელს ამჯერად ხელი მოეცა, მათ 5 საჯარო გააცუღეს.

მაჩიტაძის „ბენეფისიდან“ დიდი დრო არ იყო გასული, როცა „ბელატი“ შერკინების შემკვერლო ჯიმპლევიშვილმა გუნდის „საფირმო“, ათაკიანი შერკინებიდან შეუტია და მალაქაძეძეს ლელო გაატანინა, რომელიც მაჩიტაძემ გარდასახა. თამაშის მიწურულს „მომინო“ კარგა ხანს „იტრიალა“ მეტოქის ლელოსთან, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ნუგზარ მგელაძემ მიიღო შერკინებიდან გამოვარდნილი ბურთი და დაამოწა იგი. ნატროშვილმა გარდასახვა გამოიყენა, მაგრამ, მიმინოელთა სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ამ ტურის მატჩი ქუთაისის „აია“ და ქუთაისის „იმერეთი“ ჩემპიონატის დაწყებამდე ითამაშეს. ვაიხარჯვა „აია“ — 48:14. თბილისი „ვესტა“ კი ამჯერად ისვენებდა.

მხ-მხაპი პეპიტაჟი... (დასასრული)

ჩვენს ერთ სატურნირო ცხრილში გაკეთდა ერთი ცვლილება, რათა უფრო ნათლად წარმოეჩინათ ძალთა შეფარდება მათ შორის.

Table with 3 columns: Team Name, Points, Goals. Lists teams like „პორტლენდი“, „ნიკაგო“, „ლ.ა. ლიგერსი“ etc.

პირველი ეტაპის ფინიში ნაბას კიდევ ერთი რეკორდი გაუმჯობესდა. „დეტროიტ პისტონსისა“ და „ატლანტა ჰორნეტსის“ ორთაბრძოლა (126:120 პირველის სასარგებლოდ) დეტროიტელთა ლიდერის მოხეს მელონისთვის 1046-ე შეხვედრა იყო, რომელშიც კალათბურთელს ჯარიმების დასაშვები ლიმიტისთვის არ გადაუჭარბებია. ადრე ამ რეკორდს ფლობდა ნაბას სუპერვარს.

კვლავი უილტონ ჩემბერლენი. ახლა ორიდენ სიტყვა „პლეი-ოფის“ მონაწილე წყვილთა შესახებ: „ალმონაქლის კონფერენცია“: „ნიკაგო ბულსი“ — „ნიუ-იორკ ნიკსი“; „პისტონს სელტიკსი“ — „ინდიანა პეისერსი“; „ატლანტა ჰორნეტსი“ — „დეტროიტ პისტონსი“; „ფილადელფია-76“ — „მილუოკი ბაქსი“.

„დასავლეთის კონფერენცია“: „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“ — „სიეტლ სუპერსონიკსი“; „სან-ანტონიო სპერსი“ — „გოლდენ სტეიტ უორიორსი“; „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „ჰოსტონ როკეტსი“; „ფინიქს სანისი“ — „იუტა ჯაზი“.

უცხოეთის საფეხბურთო მინდვრებზე

ბაიზბათა მშრომლის მშენებლის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

„საზარანეთი“. „ბრესტი“ — „კანი“ 3:2, „ნანსი“ — „სენტ ეტენი“ 1:0, „ტულონი“ — „ბორდო“ 0:2, „მონპელიე“ — „ნანტი“ 1:1, „ოსერი“ — „მეცი“ 3:1, „ნიცა“ — „ლილი“ 4:1, „ლიონი“ — „კაენი“ 3:2, „სენ ეტიენი“ — „ტულუზა“ 3:0, მდგომარეობა 34-ე ტურის შემდეგ: „მარსელი“ — 48 ქულა, „მონაკო“ — 46, „ოსერი“ — 43.

„პრემიერ“. „კაიზერსლაუტერნი“ — „შტუტგარტი“ 2:2, „ვერდერი“ — „ბაიერი“ (იურდინგენი) 0:0, „ბაიერი“ — „კიოლინი“ 2:2, მდგომარეობა 27 ტურის შემდეგ: „კაიზერსლაუტერი“ — 38 ქულა, „ვერდერი“ — 35, „ბაიერი“ — 34.

„პრემიერ“. „აიაქსი“ — „ვერდერი“ 4:0, „სპარტა“ — „ეინდჰოვენი“ 1:0, „ტვერტე“ — „გროინენენი“ 4:2, „ვერდერი“ — „ვეიკ“ 0:0, „დენ ჰააგი“ — „ტეს 2:2, „როდა“ — „ფეიერბორდი“ 0:0, სვედენი 1:4, „ველემ-II“ — „შტრემსი“ 0:2, „ფორტუნა“ — „ვოლფსბი“ 0:0.

„პრემიერ“. „ლიგერსი“ — „მარსელი“ 2:1, „ბარსელონი“ — „ბენეტი“ 0:1, „ვერდერი“ — „სტაბლარდი“ 2:0, „ლიგერსი“ — „მეხელენი“ 0:2, „ვერდერი“ — „მოლენბეიკი“ 1:2, „ანდერლექტი“ — „ვერდერი“ 1:0, „სენტ ტრუდენი“ — „ლოკერენი“ 0:2, „ანტვერპენი“ — „სერკლი“ 2:2.

„საპარტოვლო“. „პაიკი“ — „ლოქსა“ 1:1, „არსიკი“ — „პანიონისი“ 2:0, „სანტი“ — „იანინა“ 3:0, „ლევიტე-ვესი“ — „ლარსი“ 0:2, „პოლონი“ — „პურვალთი“ 0:1, „აოხინკოვი“ — „პანიონილი“ 0:0, „გოლინი“ — „ეიკი 1:1, „პანსერაიკი“ — „ოფი 2:3, „პანაპაიკი“ — „ოლიმპიკოსი“ 0:1.

„მომინო“. „აიკი“ — „ნორჩეპინგი“ 1:0, „ოტტებორგი“ — „ერებრუ“ 1:0, „პალმსტადი“ — „გაისი“ 1:1, „მალმიო“ — „სუნდსვალი“ 6:0, „ესტერი“ — „იუნგროდენი“ 1:1.

„მომინო“. „გრასჰოპერსი“ — „სერვეტი“ 1:1, „იანგ ბოისი“ — „სიონი“ 2:2, „ლოზანა“ — „ლუგანო“ 2:0, „ლუცერნი“ — „ჟსამაჟი“ 1:1.

„რუმინეთი“. „სპორტული“ — „რაბიდი“ 4:1, „პროგრესული“ — „გლორია“ 1:0, „არჯისი“ — „პოლიტექნიკა“ 2:0, „პეტროლული“ — „ფიფული“ 3:2, „კოვინული“ — „დინამო“ 2:1, „სტიაუა“ — „ფარული“ 4:1, „ბიპორი“ — „ბრაშოვი“ 1:1.

„დანია“. „ფრომი“ 2:1, „იესტი“ — „აბ 0:0, „ლუნგბიუ“ — „სილკებორგი“ 5:2, „ობ“ — „ბ-1903 0:0, „ბროდბიუ“ — „ვეილუ“ 3:1.

„ჩეხოსლოვაკია“. „სლავია“ — „ტატრანი“ 2:2, „პანიკი“ — „სლოვანი“ 3:1, „უნიონი“ — „ბანსკა-ბისტრიცა“ 3:0, „ნიტრა“ — „ბოჰემიანი“ 0:0, „ინტერი“ — „დუკლა“ 4:0, დეკ — „ზბროიკა“ 4:0, „სიგმა“ — „ვიტკოვიცე“ 3:1, „სპარტა“ — „სპარტაკი“ 4:1.

„ალბანეთი“. „ლოკომოტივი“ — „ფლამუტარი“ 3:2, „ბესა“ — „პარტიზანი“ 2:1, „ვოლანია“ — „კასტრიოტი“ 2:1, „დინამო“ — „ლიბინოტი“ 2:0, „ტრაქტორი“ — „ლუფტვარი“ 1:1, „17 ნენტონი“ — „სკედრბიუ“ 0:2, „პოლონი“ — „ტომორი“ 1:1.

„ბულგარეთი“. „ჩერნომორეცი“ — „სლავია“ 2:1, „ბეროვი“ — „ბოტევი“ 1:2, „მინიორი“ — „პირინი“ 1:0, „გოტი“ — „პასკოვი“ 3:0, „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) — „ლუნიკი“ 1:0, „იანტრა“ — „გორნა ორბიტოვიცა“ 2:1, „ლევსკი“ — „სლივიანი“ 4:0, „ლოკომოტივი“ (სოფია) — „სკაპ“ 0:3.

„პოლონეთი“. „ლეგია“ — „ოლიმპია“ 1:1, „გურნიკი“ — „პოლონი“ 2:2, „სლასკი“ — „ლუბინი“ 1:3, „ლეს“ — „სოსნოვეცი“ 3:2, „იგლოზინი“ — „ჰუტნიკი“ 0:2, „ლეხი“ — „სტალი“ 2:0, „გას“ — „რუხი“ 1:0, „ესლა“ — „ზავიშა“ 3:0.


რედაქტორი თანხიზ გაჩეილაქა

ჩვენს გასცხლდა კიდეც ლეგენდა?

დღის, არ არის გამოცხადებული, რომ გასცხლდა ლეგენდა უიშხლონის ხუთჯანის ჩემპიონატი. 84 წლის ჰედ ბორნ ბორჯი. 1984 წელს, ამ ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულთა ვანა ჩოგბურთელმა წააგო შეხვედრა შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირში ფრანგ ანრი ლეკონტანს და გადაწყვიტა თავი დაენებებია სპორტისთვის.

წლის ასაკში გვირგვინის დაბრუნება ისტორია. მერე ინტენსიური ვარჯიში დაიწყო ფორმის შენარჩუნების უმტროსმა მარკ სპიტცმა, რომელსაც აშშ-ის მოქალაქეობა ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრა მოუწია. ახლა კიდევ ბორნ ბორჯი, თავისი მტკიცე გადაწყვეტილებით.

და მონტე-კარლოს დიდ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. აქ, წინასწარი მონაცემების თანახმად, ისპარტეზის მსოფლიო უძლიერესი ათელის შეიდი წარმოადგენელი, მათ შორის სტეფან ედგერე, ბორის ბეკერი და ივან ლენდლი. ერთ-ერთ საწვრთნელ ვარჯიშზე იგი თამაშა ბეკერსა და იუგოსლავიელ გორან ივანიშვიტს. ერთი ხელი მოიგო ბორჯმა, თითოც მისმა მეტოქეებმა.



ბორნ ბორჯი

განახლებულმა ვარჯიშმა შეველი ჩოგბურთელი ერთი პრობლემის წინაშე დააყენა. გამოირკვა, რომ თანამედროვე ჩოგბურთე თამაში მას არ შეეძლო. ამიტომ ისევ ძველი ხარჯიანი მოძიდა და იმით დაიწყო წვრთნა. გამოირკვა, ისიც, რომ ბორჯს შეუხარჩუნებია ფიზიკური ძალა და, რაც მთავარია, სისწრაფე. ამ დღეებში ჩოგბურთელი ჩავი-

და მონტე-კარლოს დიდ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. აქ, წინასწარი მონაცემების თანახმად, ისპარტეზის მსოფლიო უძლიერესი ათელის შეიდი წარმოადგენელი, მათ შორის სტეფან ედგერე, ბორის ბეკერი და ივან ლენდლი. ერთ-ერთ საწვრთნელ ვარჯიშზე იგი თამაშა ბეკერსა და იუგოსლავიელ გორან ივანიშვიტს. ერთი ხელი მოიგო ბორჯმა, თითოც მისმა მეტოქეებმა.

ბორჯმა რომ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა. ბევრმა მიმოხილვამ ეს ახირებად ჩათვალა, ფიქრობდნენ, და ალბათ არც თუ უსაფუძვლოდ, რომ შეველი ჩოგბურთელის მატარებელმა დიდი ხნის წინ ჩაიარა. ახლა უმრავლესობას აზრი შეეცვალა. ყოველ შემთხვევაში, მიმოხილვებში აღარაფერს ამბობენ კატეგორიულად და ელოდებიან მონტე-კარლოს ტურნირის შედეგებს.

„იგარია“ (თბილისი) — „ოდეზი“ (ჭუშაღიძე)

ამ ბუნდების შეხვედრა 25 აპრილს, თბილისის ბორის პაიჭაიძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწყო 18 საათსა და 30 წუთზე, და არა 18 საათზე, როგორც „ლელოში“ ბუზინ იყო გამოცხადებული.

„სპორტპროგნოზი“

25-26 თბილისის შედეგები (18-21 აპრილი) 1-2, 2-1, 3-X, 4-1, 5-1, 6-X, 7-X, 8-2, 9-1, 10-X, 11-1, 12-X, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერი აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორიგობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

წვენი მისამართი: წერილებისთვის — 250008 თბილისი, მ. კახტავაძე, 14, დეკანოზისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 98-97-55 სამაგისტრო — 98-97-52 ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54. „მერანი“ — 98-97-28, „მარაგა“ — 98-97-27.

ინდექსი INDEX ИНДЕКС 66435

თბილისის საფეხბურთო კლუბი „იგარია“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი მისხილ მისხი და თანაგრძობის უცხადებს განხვეწებულის ოჯახს.

თბილისის „დინამოს“ 1984 წლის ფეხბურთელთა გუნდის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაგუნდელი, სპორტის დამახარებელი მისხილ მისხი და თანაგრძობის უცხადებს განხვეწებულის ოჯახს.

თბილისის სპორტოშიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დამახარებელი მისხილ მისხი და თანაგრძობის უცხადებს განხვეწებულის ოჯახს.

გაზეთ „ლელო“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის გამოჩენილი დიდოსტატი მისხილ მისხი და თანაგრძობის უცხადებს განხვეწებულის ოჯახს.

თბილისის 169-ე საშუალო სკოლის ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზებული IX კლასის მოსწავლეები და მშობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ფეხბურთელი მისხილ მისხი და თანაგრძობის უცხადებს განხვეწებულის ოჯახს.

პროფკავშირების საქართველოს ეროვნული სპორტსალოგაღობა „ვევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო თანაგრძობის უცხადებს ამჟვე საზოგადოების სპორტეტი ბიუროს უფროსს ტარიელ ხვანაძეს მაისი მისხილ მისხი გარდაცვალების გამო.

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 530008, თბილისი, მ. კახტავაძე, 14. იხილეთ იხილეთი წესი, საგაზეთო კორპუსი, სოფლისა, 29. რედაქცია გულდასმით გვცხადს შეტყობილებას, მაგრამ ყოველ მათგანზე გამომწერებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20